საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასებული მყავს 89 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 91,15 % შეადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანდიდატმა დააგროვა 1185 ქულა, ანუ მაქსიმალური შეფასების 91,15% და რეიტინგის მიხედვით დაიკავა პირველი ადგილი.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2025 წლის 9 ივლისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე ლევან ნემსაძის კანდიდატურას, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდებისთვის შესაფერისი ქცევა, სათანადო პროფესიული გამოცდილება, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ. შესაბამისად, ის სათანადო პასუხისმგებლობით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ლეკან მიქაბერიძე

9 ივლისი, 2025 წელი